FSSO 7452
ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა...“

# ოდიში

1991
შაბათი
1
ოქტომბერი
№ 112 (10505)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## გფარავდეთ ღმერთი!

შავნაბადა, სადაც დაბანაკებული იყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორები, ერთ ერთ ყველაზე ცხელ წერტილად იყო მიჩნეული თბილისში. პუტჩისტების ეს საიმედო პლაცდარმი ისე უმტკივნეულოდ, ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე იქნა აღებული, რომ აქ ერთი გასროლაც არ ყოფილა. ამ ფაქტს ადასტურებს ის სამი პირტიტველა გვარდიელი, რომლის ანაბარადაც იყო მიტოვებული შავნაბადა, ან რომელ გასროლაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ამ ჭაბუკებს მცირე, ყალიბიანი, ეგრეთწოდებული გეკოს მეტი არაფერი გააჩნდათ შავნაბადას დასაცავად. პუტჩისტები კი ჭორებს ჭორებზე ავრცელებდნენ, სახელდახელოდ გამოშვებულ პროკლამაციებით მოსახლეობას აუწყებდნენ — თითქოს და შავნაბადაზე დიდი შეხლა შემოხლა ყოფილიყოს, რომ აქ ბრძოლის ველზე 60 გვარდიელი გმირულად დაეცა. სისხლიდან ფიცლებით, ამიჟუჟვას გვიპირებენ და ძმებო თბილისელებო ძალები მოგვაშველეთო!

მართალია პუტჩისტთა ანკესზე ამჟერად არავინ წამოგებულა, მაგრამ მდგომარეობა თბილისში კვლავ დაძაბულია. ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ ბრძოლა წაგებული აქვთ და ყოველგვარ პროვოკაციულ ხერხებს მიმართავენ. მორიგი პროვოკაციის ერთ ერთი ნიმუში ის გახლავთ რაც ამ დღეებში ჩაიდინა მერაბ კოსტავას სახელობის საზოგადოების ხელმძღვანელმა ვაჟა ადამიამ. იგი შეიარაღებული მცირე ჯგუფით დაბანაკდა თბილისის ყველაზე წმინდა ადგილას, იმ ეზოში სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა ეროვნული მოძრაობის ერთერთმა ლიდერმა, სულმნათმა მერაბ კოსტავამ. ეს მცირერიცხოვანი შეიარაღებული ბანდა კოსტავას ეზოდან მეთვალყურეობას უწევს მილიციის პუნქტს, კიწოს სახლს და მის მიმდებარე ტერიტორიას. საფრთხე შეექმნა ამ ეზოს მოსახლეობას და მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმს. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ პუტჩისტებზე არავითარი შეგონება, თხოვნა და მიმართვა არ ჭრის.

დროა იცოდნენ კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორებმა, მათი ფეხის ხმას ბრმად აყოლილებმა, რომ მოთმინების ფიალა აივსო, ხალხი ადსდგა, ხალხის რისხვას წინ ვერაფერი დაუდგება. დღეს დიდსა თუ პატარას ერსა და ბერს თბილისისკენ მიუწევს გული, თავისუფლების მოედანი და რუსთაველის პროსპექტი ხელისუფლების დამცველთ ვერ იტევს, მათ გვერდითაა ათასობით ზუგდიდელი. ამ დღეებში ხალხის ნებით არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი ზუგდიდიდან თბილისს გაემგზავრა. ამ კეთილშობილური მისიის შესრულებაში ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი ძვირფასო ზუგდიდელებო!

## მალე გაიფანტება ბურუსი...

28 სექტემბერს, თბილისში მთავრობის სახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად. ზუგდიდელების სახელით მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ზვიად ჭურღულია.

მართალია, ჩვენთან ზუგდიდში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია განუდგნენ პრეზიდენტს, მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთი ადამიანების რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია. სხვა მხრივ, ჩვენ, ზუგდიდელები, ერთსულოვნად ვიდექით, ვდგავართ და დავდგებით ღირსეული პრეზიდენტის გვერდით!

ყოველი ერი ღირსია საკუთარი ბედისა. ჩვენც ღირსნი ვიყავით მონობისა იმიტომ, რომ ქართველობას არასდროს ჰქონია თავისუფლების ერთსულოვანი გაგება. აქ ყოველთვის ხდებოდა ქართველითა ქართველისა დათრგუნვა და საქართველოს გათითოკაცება!...

თითქოს საკუთარ შვილზე უწინასწარმეტყველებიაო დიდ კონსტანტინეს, როდესაც წერდა, „...თუ კი ოდესმე დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები!...“ მართლაც, ბატონებო, ნუთუ იმისათვის, რომ კაცი დავაფასოთ—სიკვდილია აუცილებელი?! ღმერთმა დაუფაროს და ჩვენს პრეზიდენტს რამე რომ მოუვიდეს, ჭირის ჟამს ყველანი გავჩუმდებით, შევრიგდებით, მოვინანიებთ კიდეც—ეს რა კაცი დავკარგეთო! მაგრამ როცა დადგება ჟამი პირველი კაცის არჩევისა,—ისევ მშიერ მგლებივით დავერევით ერთმანეთს იმიტომ, რომ ამბიციურნი ვართ. დიახ, დღესაც შავი შურის შარი-შური ქრის თბილისში. ძმამ ძმაზე აღმართა მახვილი. მე-20 საუკუნის მიწურულს კი ქართველთა პარტიკულარიზმი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ამას მომავალი თაობა არ გვაპატიებს!

მამულიშვილნო! დანო და ძმანო! მიყვარხართ ყველანი, აქ, რომ დგახართ! თქვენ არწივები ხართ! თქვენ ხართ შევარდნები, საქართველოს პრეზიდენტს რომ იცავთ დღე და ღამ. მართალია, თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა ნარ-ეკლიანია, მაგრამ ჩვენ ამ გზას გავკაფავთ, გავფანტავთ ბურუსს და გამოჩნდება ახალი ვარსკვლავი, რომელიც იქნება არა ბოლშევიკური სიმბოლიკის მატარებელი, არამედ ეს იქნება ნათელი მთიები, ოქროსფერ სხივებს რომ გადმოაფრქვევს თავისუფალი საქართველოს მიწაწყალს.

ამიერიდან სულში უნდა ამოვიტვიფროთ ლათინური სიტყვები: „პერ ასპერა—ად ასტრა“—ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ!“.

დღეგრძელი იყოს ქართველთა პრეზიდენტი, რომელიც გოლგოთაზე დგას და ომახიანად გუგუნებს ვაჟას სიტყვებს:

„ხარს ვგავარ ნაიალალარს
რქით მიწასა ვჩხვერ,
ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო
მიცოცხლე.
მძინარეც ამას ვდუდუნებ!“

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

საქართველოს ქაღალდის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაცია რეგიონის ექვსაზე მეტი ვეტერანის სახელით აღშფოთებას გამოხატავს თბილისში მიმდინარე მოვლენების გამო, რაც ჩვენი ღრმა რწმენით მტრული გამოხტომაა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მის გადამწყვეტ ეტაპზე და მიზნად ისახავს რესპუბლიკის დედაქალაქში დესტაბილიზაციისა და ქაოსის დამკვიდრებას, რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობას. მტკიცედ ვგმობთ ამ მოქმედებას. ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

„საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანების ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაციის სახელით:

ნ. ჩაჩიბაია, ა. ხასია,
ზ. შარია, რ. ქუკავა,
სულ 153 ვეტერანის ხელმოწერა.

## მხარს უჭერენ პრეზიდენტს

28 სექტემბერს, დილის 9 საათზე, სარემონტო მექანიკურ კომბინატში (დირექტორი ა. ქუჩულორია) გაიმართა მუშამოსამსახურეთა მიტინგი, სადაც ერთხმად გამოითქვა მხარდაჭერა ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი.

მომიტინგეებმა, 160 კაცის ხელმოწერით, დეპეშა გაუგზავნეს პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოს და ტელერადიოდეპარტამენტს.

იმავე დღეს, საწარმოს 12 მოხალისე გაემგზავრა თბილისში, მომიტინგეებისათვის კი მათ თან წაიღეს 1000 მანეთის სასურსათო პროდუქტი.

ა. დაგარგულია,

* * *

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმის 1200-იანი კოლექტივი, რომელმაც ერთხმად მხ. რ. დაუჭირა ამ დღეებში ბატონ ზვიად გამსახურდიას დღესაც მის გვერდით დგას.

მათ, დღეს საქართველოში, ფეხზე დგას ერი და ბერი. ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივი, სტუდენტ-ახალგაზრდობა და მათი მშობლები მზად არიან დადგნენ კანონიერად არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის დასაცავად.

ტექნიკუმის კოლექტივი.

გამარჯობა, მონატრებულო სკოლის ზარო!

## მივესალმოთ ახალი სკოლისათვის

ტრადიციულად პირველ სექტემბერს რეკდა საქართველოში სკოლის ზარები, რითაც ახალი სასწავლო წლის დაწყება ეუწყებოდა ერსა და ბერს: და წლევანდელი სექტემბერი პირქუში და ტკივილიანი, ცრემლითა და სისხლით შეზავებული აღმოჩნდა. ვნებათა ღელვამ ზენიტს მიაღწია. აღარ ცხრება მავანთა ამბიციები, წყენა. ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში იჩაგრება ყოველი ჩვენგანის საქმე, ზიანდება ერის ინტერესები. მაგრამ სხვაზე მეტად შექმნილი სიტუაცია ახალ თაობას ვნებს. გაოგნებული გოგონები და ბიჭები ერთმანეთს მისჩერებიან. მათ თვალებში ნოსტალგია იკითხება უზაროდ გარდავლილ პირველ სექტემბერზე. ამასთან იმედის სხივიც კრთება. იმედი იმისა, რომ სულ მალე მაინც ჩამოკრავს სასკოლო ზარი და ისევ ჟრიამულით აივსება სკოლის ეზო, ოთახები და დერეფნები. დიახ, პირველ ოქტომბერს ქართული ეროვნული სკოლა იწყებს ახალ სიცოცხლეს. და ასეთ დროს ყოველი ჩვენგანის გონებაში რეკს კითხვა: არის კი მზად ჩვენი მასწავლებლობა ნამდვილი სულიერი მოძღვრობა გაუწიოს ახალ ღირებულებებთან, ახალ მიზნებთან წილნაყარ მოსწავლე ახალგაზრდობას, სულიერი წრთობის სავსებით ახლებური გაკვეთილები გადასცეს მას?

გვჯერა, ამ კითხვას ისინი ღირსეულ პასუხს გასცემენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ხელით უნდა გაკეთდეს

შემოდგომა სამეურნეო სამუშაოების ინტენსივობის მხრივ წელიწადის ყველა დროს სჯარბობს. ეს მით უფრო ითქმის წლევანდელ სეზონზე, რომელმაც უკიდურესად შეპირვებულ ყოფაში ჩავარდნილ მოსახლეობას ეკონომიკური ხსნის რაღაც რეალური სახსარი უნდა გაუჩინოს. რაიონში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც ამ დაძაბულ ვითარებაში ხელმძღვანელობას და კოორდინირებას უწევს სოფლად მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავების კამპანიას. პრეფექტურის მიერ ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებები აღნიშნული სამუშაოების მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით. ჩვენი ის დროა, როცა დიდი და პატარა მინდვრად უნდა გავიდეს და მაქსიმალური მობილიზებულობით შეუტიოს კარს მომდგარ საზრუნავს. ამ ცხარე დღეებში განსაკუთრებით უნდა იმარჯვონ მეჩაიეებმა. არის ფაქტები იმისა, როცა ადგილებზე მუშახელის მობილიზება ყოვნდება და იკარგება ახეულ ტონობით ჩაის ნედლეული. თავს იჩენს ისევ და ისევ შრომის ორგანიზაციისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაბალი დონე, იქ, სადაც შექმნილ სიძნელეებს არ შეეპუენ და მაქსიმალური მონდომება გამოიჩინეს, შედეგებიც კარგი აქვთ. ასეთი სოფლებია: ინგირი, ახალაბასთუმანი, ახალკახათი, ზედაეწერი, ნარაზენი, კორცხელი და ზოგიერთი სხვა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით შამგონაზე, ოქტომბერზე, რუხზე, ყულიშკარზე, განმუხურზე, ჩხორიაზე და სხვა ცალკეულ სოფლებზე.

შემოდგომის დღეებს უფრო საველე ეთქმის, ვინემ საკაბინეტო. ეხლანდელმა სამრომელ-საფეიქრალმა ყველას მინდორში უნდა უხმოს. ახლა მართლაც ის ჟამია, როცა ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს დამოუკიდებლობისათვის ანთებული ერის გამხნევებისათვის. იმისათვის, რომ ათასნაირად განაწამებ ხალხს შიმშილმა და სიდუხჭირემ არ დარიოს ხელი.

ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი ჩვენს ხელშია, მეგობრებო. დავდგეთ მხნედ და ურყევად მოჭარული ჭირის დასაძლევად.

# ყველაფერი საძირკვლიდან იწყება

ყოველი ადამიანი თავისი ეპოქის შვილია, მით უმეტეს პედაგოგი, რომელიც ყოველთვის რჩებოდა სათნოებისა და სულის სიძლიერის ნიშანსვეტად.

დღეს, როცა ქართველი ხალხის საუკუნოვანი — ოცნება ფრთებს ისხამს, კიდევ უფრო გაიზარდა ქართველი პედაგოგის დანიშნულება. ჩვენი ქვეყნის თავისუფლება უეჭველია, მაგრამ როგორ შეხვდება მას ქართველი მასწავლებელი? როგორც ვიცით, სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე საგანგაშო მდგომარეობაშია. დაქვეითდა სწავლის ხარისხი, შეიბღალა მასწავლებლის ავტორიტეტი, გაუფასურდა პედაგოგიური საბჭოს უფლებები. ყოველ პედაგოგს დღეისთვის შემუშავებული აქვს საკუთარი კონცეფციები და დადგენილებები. მათში მისაღები საკმაოდ ბევრია.

ნათქვამია: „ყველაფერი საძირკვლიდან იწყებაო“. მოთხოვნებისა და წუწუნის დრო არ არის, მაგრამ მასწავლებლის შრომა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა შეაფასოს, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ საძირკველს ჩამოუყალიბებს მომავალ თაობას. განსაკუთრებით საყურადღებოა დაწყებით კლასებთან დაკავშირებული სასწავლო პროცესები. სკოლაში პირველად მისული ბავშვების წინაშე დგას ერთნაირი ამოცანა, თუნდაც წერა-კითხვის დაუფლება, რასაც ყველა თანაბრად ვერ ახერხებს. გასავლელი პროგრამა კი არ იცდის. წელს დაწყებით კლასებში ოფიციალურად შემოღებულ იქნა ფაკულტატური საათები, რაც სწავლის ხარისხს დიდად გააუმჯობესებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის გარეშეც ატარებდა ზოგიერთი მასწავლებელი ასეთ მუშაობას.

ჩემი აზრით, საჭიროა სპეციალური კლასების შექმნა, თუმცა მოსწავლეთა კატეგორიებად დაყოფა დიდ გულისწყრომას გამოიწვევს მშობელთა მხრიდან. არ იქნება ურიგო შედარებით ძლიერი მოსწავლეებისათვის გაიხსნას ცალკე პირველი კლასი გაძლიერებული, მაგრამ მათთვის ადვილად დასაძლევი პროგრამებით, დანარჩენი მოსწავლეები კი ისწავლიან ჩვეულებრივ კლასებში, რაც ფსიქოლოგიურადაც იქნება გამართლებული.

მტკივნეულია სკოლების არათანაბარი უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ზოგიერთ სკოლას იმდენად უჭირს, რომ ცარცი მონატრებია, ზოგს კი...

მინდა შევეხო ხუთდღიანი სწავლების ფორმასაც, კარგია რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ორი დღე აქვთ დასვენებისათვის, მაგრამ მეტად ძნელია ყოველდღიური სასკოლო დღე. მათ უტარდებათ 5-6 გაკვეთილი.

1 და მე-4 კლასების მოსწავლეთათვის ასეთი დატვირთვა თავისთავად ძნელია და მოსაზრებულიც ხდება. ხუთდღიანი სწავლების ფორმას მაშინ ექნება გამართლება, თუ შემცირდება გაკვეთილებისა და პროგრამული მასალის რაოდენობა. ამასთან მომგებიანი იქნებოდა დაწყებით კლასებში უნიშნო სწავლების შემოღება. ეს ერთგვარად განმუხტავდა ნიშნის წერით გამოწვეულ უხერხულობას.

საბჭოური წესით, მოსწავლე აუცილებლად კლასში უნდა გადაგვეყვანა. თუმცა კანონით უკვე შეუძლებელია ჩამორჩენილ მოსწავლეთა ჩატოვება, მაგრამ რატომღაც თავს ვარიდებთ.

და ბოლოს, ეროვნული და პიროვნული თავმოყვარეობის გრძნობით უნდა ავღზარდოთ ახალგაზრდა თაობა, სკოლა კი იქცეს იმ დაწესებულებად, სადაც ხალისით წავა მოზარდი, რადგანაც ეცოდინება, რომ ეს ის ადგილია, სადაც პატივს სცემენ პიროვნების ღირსებას, სადაც დახვდებიან მისი სულიერი „დედანი“ და „მამანი“, კეთილი და თაყვანისცემის ღირსი ადამიანები და კვლავ შთააგონებენ: ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

**ლ. თირქია,**
ოდიშის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

ინფორმაცია

# ორსანტია

მეჯოგეობის კოლექტივს კარგად ესმის რომ მოსავლის აღებადაბინავების სწორ ორგანიზაციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. იმისათვის, რომ მეცხოველეებმა უვნებლად გამოაზამთრონ 120 სული მსხვილფეხა საქონელი რითმულად მიმდინარეობს საკვების დამზადება. გააჩნიათ 200 ტონა სენაჟი, მიმდინარეობს სილოსის დამზადება. ჩაიდება 400 ტონა მასა. სრულდება პროდუქციის წარმოების დავალება. სახელმწიფოს 98 ტონიდან ჩაბარდა 85 ცონა, ხორცი ნაცვლად 5 ტონისა 15 ტონა.

* * *

60 ჰექტარზე ნათესი სამარცვლე სიმინდი სიმწიფის სტადიაშია. საშუალოდ ჰექტარიდან მოსალოდნელია 30 ცენტნერი მარცვლის მიღება.

* * *

მეჩაიეებმა პროგნოზით გათვალისწინებული 580 ტონიდან 30 სექტემბრისათვის მრეწველობას მიყიდეს 575 ტონა ნედლეული. კრეფა გრძელდება.

# მოსწავლეებს—საფუძვლიანი ცოდნა

საქართველოს ისტორია სისხლითა და ცრემლით იწერებოდა. მუხთალ მტერს ყოველთვის იზიდავდა საქართველოს კურთხეული მიწა, მისი ხვავი და ბარაქა. ქართველი ერი ჭირთამთმენი იყო, ყოველგვარ განსაცდელს უძლებდა და რაც მთავარია, ინარჩუნებდა თავის ენას.

ნათქვამია: „პიროვნება რამდენ ენასაც ფლობს იმდენი კაციაო“. უკან დაგვრჩა ე. წ. უძრაობის წლები, რომელმაც თავისი დაღი დაამჩნია უცხოური ენების სწავლების საკითხსაც. კვირაში 14 საათი განა საკმარისი იყო, რომ მოსწავლეს საფუძვლიანად შეესწავლა უცხო ენა? არადა სასწავლო პროგრამა გვაიძულებდა ძლიერ და სუსტ მოსწავლეს ლაპარაკის დონეზე აეთვისებინა უცხო ენა.

ენის საფუძვლიანი დაუფლებისათვის საჭიროა მეცნიერულ დონეზე შედგენილი სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებანი, მეთოდური ლიტერატურა, რომლითაც ჩვენ, უცხო ენის სპეციალისტები განებივრებული არა ვართ.

განათლების სისტემა ნელნელა დგება სწორ გზაზე. ამას ადასტურებს ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. იმედია, უცხო ენის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებსაც კეთილად მოაგვარებენ.

**ი. ქარჩავა,**
ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის უცხო ენის მასწავლებელი.

# წარმოშობით სამურზაყანოდან...

დიდი ხანია მაინტერესებს ჩემი გვარის ისტორია, მისი წარმომავლობის საკითხი. ადრეც გამეგო გამსახურდიების ფუძე სამურზაყანოში, ჩემს მშობლიურ სოფელ დიხაზურგაში. არისო, მაგრამ ამის დამადასტურებელ ცნობას ვერ მივაგენი. ვერც ბატონი კონსტანტინეს ნაწარმოებებში ამოვიკითხე. მოგეხსენებათ, მწერალი „ლანდებთან ლაციცში“ ყვება თავის წინაპრების—ოდიშელი გამსახურდიების ამბავს, მაგრამ გვარის წარმოშობაზე არაფერი აქვს ნათქვამი.

ამის შესახებ თავის დროზე გელაპარაკე თვით კონსტანტინეს, მან ბევრი იცინა და მითხრა: მე უფრო მეტიც მაქვს დაწერილი. თუმცა გვარის წარმოშობის გამო ისტორია არ უამბნია, მაგრამ სამურზაყანოდან რომ ჩამოსულან მათი წინაპრები, ეს მაინც დამიმოწმა.

ახლახან ამ საკითხთან დაკავშირებით მე მივმართე ბატონ კონსტანტინეს ერთ-ერთ მეგობარს, ქართული ფოლკლორის ცნობილ მკვლევარს, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ბატონ გივი ელიავას. [illegible] — გამოუქვეყნებელი

ჩემს თხოვნას და გამომიგზავნა ბარათი, სადაც წერდა:—„...1969 წლიდან 1972 წლამდე ექსპედიციაში დავდიოდი აბაშისა და გეგეჭკორის რაიონებში: ვხვდებოდი ხალხს და ვიწერდი ტოპონიმებს, ხალხურ გადმოცემებს, 1977 წელს ამაზე წიგნი გამოვიდა.

როგორც ხალხი გადმოგვცემს გამსახურდიები სამურზაყანოდან არიან გადმოსახლებულნი, ისინი კარის აზნაურები ყოფილან, მათთვის აზნაურობა დადიანს უბოძებია. ისინი მკაცრი მაგრამ ძლიერი ვაჟკაცები იყვნენ თურმე, ამის მეტი ამ გვარის წარმოშობაზე მე მასალები არ მიძებნია. თავის გვარის შესახებ თვითონ ბატონი კონსტანტინე წერს „ლანდებთან ლაციცში“, ალბათ წაგიკითხავთ. დამატებით თუ რამე ამ გვარის წარმოშობის შესახებ გავიგე, ან განვაგრძე ამ მხრივ მუშაობა, გაცნობებთ, კეთილი სურვილებით გივი ელიავა“.

ამ ბოლო ხანს კი გამოიცა წიგნება, სადაც არის საინტერესო ცნობები გამსახურდიების საგვარეულოს შესახებ. ასე „ქართულ გვარსახელებში“ პირდაპირ მითითებულია, რომ მათი წარმოშობის ფუძე დიხაზურგაა (გალის რაიონი) ბატონი ზვიადი კი თავის ცნობილ ნაშრომში „საქართველოს სულიერი მისია“ მიუთითებს: „...საერთოდ გამსახურდიების გვარი მწიგნობრობით გამოირჩეოდა, ისინი სახლთუცესები იყვნენ დადიანის კარზე“ (გვ.103)

ახლახან მარტვილიდან კვლავ მივიღე წერილი ბატონი გივისაგან ვფიქრობ, მისი შინაარსი ბევრს დააინტერესებს. „ჩემი უფროსი მეგობრის, ბატონ კონსტანტინეს ყოველი ხსენება, დიდ სიამოვნებასა და სიხარულს მანიჭებს. ასევე ჩემთვის სასიხარულოა ბატონი ზვიადის სიკეთე. ღმერთმა ძალა და მადლი შემატოს!

რაც შეეხება გამსახურდიების გვარის წარმომავლობის საკითხს, ვფიქრობ ამ მხრივ კვლევა გავაგრძელო „გამსახურდია“—მეგრულ ძირგვარად მიმაჩნია, ამაზე ერთხელ ბატონ კონსტანტინეს გულამბე. მან ღრმა, კონსტანტინესეული თვალმიბჯენით მიცქირა ცოტა ხანი და შემდეგ მოწონებით გამიღიმა. ჯერ არაფერს არ ვიტყვი, იქნებ ვერ ვუგავარ სწორ[illegible]ზე, ვნახოთ.

რაც შეეხება, ოდიშელ გამსახურდიათა სიმკაცრეს, ბატონ კონსტანტინეს მკვეთრად აქვს აღნიშნული. თქვენ მოგეხსენებათ კონსტანტინე ისტორიული სინამდვილის წინაშე არასოდეს არ ხუჭავდა თვალს, არასოდეს არ გაურბოდა ისტორიულ ფაქტს“.

ალბათ ყველა დამეთანხმება, თუ რაოდენ საამაყოა, როცა შენი გვარის წარმომადგენელი ერის თვალსაჩინო ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, იმ გვარს ატარებ, რომელსაც ქართული ლიტერატურის პატრიარქი დიდი კონსტანტინე და საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ბატონი ზვიადი ატარებს. მე მიმაჩნია, რომ ჩემი საგვარეულოს წარმომადგენლებს დღეს მეტი თავმდაბლობა და თავშეკავება გვმართებს, რათა საქციელით, სიტყვით თუ ქმედებით ოდნავი ჩრდილიც არ მივაყენოთ ამ გვარს, რათა აუგად არ მოიხსენიოს მამულმა. მეტი სიფხიზლე და გამჭრიახობაც გვმართებს. რადგან მამულს უჭირს და სხვებთან ერთად უნდა დავდგეთ კარის დამცველად.

ბატონი კონსტანტინე 1961 წელს ოჯახით იყო ჩამოსული ჩვენთან სამურზაყანოში, სოფელ დიხაზურგაში. წარმოშობის ფუძე ინახულა, მოგვარეებმა გადავკოცნეთ ერთმანეთი: ბუნებრივია, დღესაც დაუვიწყარია ყველა მოგვარისათვის ღირსეულ მამულიშვილთან შეხვედრა. ამ დღეს თახაბარი იყო მწყემსი. მწერალი და მესიმინდე. ყველანი მამულის წინაშე ვალმოხდილად ვთვლიდით თავს.

მალე დადგება დამოუკიდებელი საქართველოს აღმავლობის დღე. ბატონი ზვიადი მამულის სადღეგრძელოს იტყვის, ქართველ ერს გააერთიანებს, დავიცადოთ, და ერთ მუშტად ვაქციოთ საქართველო.

ღმერთი იყოს ქართველი ერის მფარველი!

**ზენო გამსახურდია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვით შეგნების რადიკალური ამაღლება

ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს: კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრების დონე არნახულ სიმაღლეზეა. ჩვენ რაღა გვჭირს, რომ სული ვერა და ვერ მოვითქვით, რაც დრო გადის, სიდუხჭირის საცეცები უფრო და უფრო გვაჭერს ხელსო. სოციალური და ეკონომიკური პირობების ასე მინიმალურ დონეზე დაქვეითება აიძულებს კაცს საჯაროდ გამოხატოს თავისი გულისწყრომა. რაც არ უნდა ბანალურ თემად მოიჩვენოს მავანს აღნიშნული პრობლემა, იმას კი იმსახურებს რომ კიდევ და კიდევ ვუტრიალოთ და ვაანალიზოთ ამდაგვარი ბეჩავი ყოფის გამომწვევი მიზეზები, სხვადასხვა კუთხით მივუდგეთ და განვჩხრიკოთ ყველა ის ფაქტორები, რამაც მართვის ავტორიტარული სისტემა ასე უმოქმედო და სიცოცხლის უუნარო გახადა.

მართალია, ცენტრალიზებული მართვის სისტემა ყოველნაირად უწყობდა ხელს შრომისაგან პიროვნების გაუცხოებას, მატერიალური სტიმულების იგნორირებას, მაგრამ შრომითი კოლექტივის ოპტიმალურ დონეზე ფუნქციონირებას მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი ქმედითი ბერკეტები, როგორიცაა: შინაგანი თვითდისციპლინა, პროფესიული მონაცემები და თვითშეგნების დონე. ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშახელის, სპეციალისტის მაქსიმალურ მობილურობას სწორედ ეს შინაგანი სტიმულატორებიც განსაზღვრავენ. ამ ჩვევას, თუ თვისებას ათეულ წლობით, გენეტიკურად აყალიბებს ამათუ იმ ფირმის წარმომადგენლის ცნობიერებაში საბაზრო ეკონომიკის წესები და კანონები. იქაურმა მუშამ, თუ სპეციალისტმა იცის, რომ თუ სამუშაო რიტმი დაარღვია, ტექნოლოგიური მოთხოვნები არ დაიცვა, უხარისხო ნაწარმი გამოუშვა, ის ძალაუნებურად განითესება სამუშაოდან. ამიტომ ცდილობს მუდამჟამს ფორმაში იყოს, წარმოებითი ურთიერთობის იმ წესის მიმდევარი და ერთგული იყოს, რაც მის ფირმაში თუ ასოციაციაში დამკვიდრებული.

ავიღოთ საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკა. ის იმდენად უნუგეშო მდგომარეობაშია, რომ არ უნდა დავაყოვნოთ კომპლექსური, ენერგიული, არაორდინალური ღონისძიებების გატარება, რათა ერთიანი ძალისხმევით ამ ჩიხიდან თანდათან ამოვიდეთ. უნდა დაჩქარდეს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სახალხო მეურნეობის წარმოებისა და მართვის ნაირგვარ სტრუქტურებზე გადასვლა. მაქსიმალურად უნდა გაიხსნას გზა თავისუფალ მეწარმეობას და ა. შ. მაგრამ რა მოდელშიც არ უნდა ჩაჯდეს ქართველი მეურნე, მუშაკი, თვითდისციპლინისა და თვითშეგნების გარეშე საქმე საწადმართოდ ვეღარ წაუვა. უპირველეს ყოვლისა უნდა დავძლიოთ ძვალ-რბილში გამჯდარი უდისციპლინობა და გულარხეინობა, სიზარმაცე და უყაირათობა, გულგრილობა ეკოლოგიური საზრუნავის მიმართ და ა. შ. ახლა, როცა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ეკონომიკა გაჭირვებიდან თავდახსნის გზებს ეძებს, არცერთმა შრომითმა კოლექტივმა თუ ინდივიდმა თავს არ უნდა მისცეს უფლება ანგარიშმიუცემლად ფანტოს რესურსები. წარმატების თავი და თავი ისევ წარმოების სწორ ორგანიზაციაშია. რაც არ უნდა ფართო სარბიელი მოენახოს კერძო საკუთრების ფორმებს, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი შრომის ორგანიზაციისა და წესრიგის განმტკიცების მობილური ღონისძიებები, ანარქიის ელემენტებს თავიდან ვერ ავიცილებთ, რასაკვირველია, დისციპლინის ქვეშ არ ვგულისხმობთ ტოტალიტარული რეჟიმის დროინდელ სულისშემხუთველ ადმინისტრაციულ სანქციებს, არამედ იმ ცხოვრებისეულ ბერკეტებს, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს მშრომელ კაცს საწარმოს ბატონ-პატრონად წარმოიდგინოს თავი.

უნდა დაჩქარდეს წარმოების პრივატიზების პროცესი, რამეთუ მას უცილოდ მოყვება მართვაში დემოკრატიული საწყისების გაღრმავება. საწარმოს სისხლხორცეულ პრობლემების მართვის სადავეებს უშუალოდ მისი წევრები აიღებენ ხელში. ეს იქნება თვისობრივად ახალი ურთიერთობები, ახალი ვითარება, სადაც გადამწყვეტ სიტყვას ისევ და ისევ ადამიანის თვითდისციპლინა და თვითშეგნება, მისი პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის დონე იტყვის.

## 1 ოქტომბერი მუსიკის საერთაშორისო დღეა!

**ამ რამდენიმე წლის წინათ ზუგდიდელებმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ მომღერალს ნოდარ ანდღულაძეს. ამ სიტყვით მივულოცეთ 60 წლისთავი ღირსეულ სტუმარს. ვიმედოვნებთ, იმ შეხვედრის ხიბლს ოდნავ მაინც გაახსენებს საღამოს თვითმხილველებს ეს წერილი.**

# მისი სიმღერის ხიბლი

მას შეუძლია დაგამარცხებინოს მარტოობა, გაგიცოცხლოს შენში დროებით მიმქრალი იმედის სხივი. ერთ გენიოსს ასეთი რამ უთქვამს: მუსიკა ადამიანებს შეცდომების თავიდან აცილებაშიც გვეხმარებაო. ამდაგვარი სტატისტიკაც არსებობს: ყველაზე დიდხანს თურმე მუსიკოსები ცოცხლობენ. ამის ნათელი მაგალითია თვითონ ბატონი ნოდარიც. 60 წლის კაცი მხნედ გამოიყურება. არ ვიცი, ლუჩიანო პავაროტივით ჩვენი სტუმარი ცხენს დააჭირთებს თუ არა სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: თქვენ პატივცემულო ნოდარ, როგორც მომღერალი და პედაგოგი დიდი ხანია თქვენს საკუთარ ტაიჭზე ზიხართ, მყარად და გამართულად.

ბევრი რამ არის ცხოვრებაში ისეთი, რაც ითმენს ასლის გადაღებას, თარგმნას და ა. შ. მაგრამ არსებობს ორი მარადიული [illegible] ამ ქვეყანაზე — სიყვარული და სიმღერა, რომლებიც არ საჭიროებენ ამდაგვარ ჩარევას.

ქართველმა ბანებმა და ტენორებმა ლამის მსოფლიოს საოპერო სცენები დაიპყრონ. ჩვენ ბევრი ვიცით ისეთი დიდი ერი და ქვეყანა, რომელიც ეროვნული ბიუჯეტის ნახევარს გაიღებს, ოღონდ ყავდეს თუნდაც ერთი პაატა ბურჭულაძე, თუნდაც ერთი ცისანა ტატიშვილი, თუნდაც ერთი ნოდარ ანდღულაძე.

—ბატონო ნოდარ! განგებას თქვენ ორი რამისთვის ნამდვილად მადლობა უნდა სწიროთ: ერთი იმისათვის, რომ დაგაჯილდოვათ შესანიშნავი ხმით. ამასთან იმის გამოც, რომ მოგცათ საკუთარი ხელწერა, როგორც ერის კაცს, საზოგადო მოღვაწეს. ვერა დავიდოვას საიუბილეო საღამოზე თქვენ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნეთ, თუ რაოდენ საჭირო კაცი ხართ საქართველოსათვის. ამ დონეზე საღამოს წაყვანა შეეძლო მხოლოდ ჭეშმარიტ მაესტროს. უგანათლებულეს და უდახვეწილეს ინტელიგენტს.

თქვენს ყელში დიდი მამის ხავერდოვანი იოგებია. ჩემს თაობას კარგად ახსოვს თქვენი ტრიუმფალური დებიუტი თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე. თქვენ სრულებით ახლებურად მღეროდით დონ-ხოზეს, კავარადოსს, ამსხვრევდით ზოგიერთ სცენიურ სტერეოტიპს. მღეროდით ჭეშმარიტად ლასკალისეული გაქანებითა და შინაგანი ექსპრესიით. ვისმენდით რა ამ პარტიებს, თვალწინ გვედგა თქვენი დიდი მამა და მაესტრო დავით ანდღულაძე, რომელმაც გადო ეს ხიდი თბილისსა და ლასკალას შორის. ამიტომ დღეს ჩვენ თავს ვხრით მის წინაშეც, რომლის ხელდასხმული ხართ თქვენ, როგორც მომღერალი და ახალი თაობის აღმზრდელი.

გჯეროდეთ ბატონო ნოდარ, რომ ზუგდიდს უყვარხართ. ზუგდიდელებს მოსწონთ თქვენი ხმა. „ოდიას", „ჩელას". „სისოულ ბატას" შემქმნელი ქალაქი თავს გიხრით.

მოუშლელი იყოს სიმღერა აწ და მარადის ჩვენს სათაყვანებელ საქართველოში.

ზ. ცხონდია.

## ფეხბურთი

# ვის მიანიჭა კმაყოფილება?

მეშვიდე ტურში ზუგდიდის „ოდიში" გასვლით თამაშს ატარებდა ლანჩხუთში ადგილობრივ „გურიასთან", ეროვნული ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენელთან. უკვე მეორე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში მ. მეგრელიძის ზუსტი დარტყმის შემდეგ 1:0. დაბნეულობამ სტუმართა რიგებში მალე გაიარა. თანდათან მათ გაათანაბრეს ჯერ თამაში და 26-ე წუთზე ყიზილაშვილის წყალობით ანგარიშიც 1:1. ამის შემდეგ თამაშის ტემპმა უფრო იმატა, მართალია მასპინძლებს ჰქონდათ ოდნავ შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ სტუმრების მხარეზე იყო სათამაშო უპირატესობა, მეტიც, მათ უკვე პირველ ნახევარში შეეძლოთ დაწინაურება. ხელსაყრელი მომენტი კარის აღებისა ჰქონდათ ყიზილაშვილს (ორჯერ), ბიგვავას, კვარაცხელიას; მაგრამ მათ შეტევების ბოლო მომენტში აკლდათ სიზუსტე. საბოლოოდ პირველი ნახევრის ანგარიში არ შეცვლილა. ჩვენი გუნდის თამაში აშკარად გვაძლევდა იმის იმედს, რაც ვერ მოხერხდა თამაშის პირველ ნახევარში, გამოსწორდებოდა მეორე ტაიმში. სამწუხაროდ, მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. გუნდი „გაჩერდა". თუმცა მე ოდნავ ვიჩქარე, მეორე ნახევარი დაიწყო იმით, რომ ორივე გუნდი ჩანლაგდა მოედნის შუაგულში და დაახლოებით 8-10 წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ.. მსაჯთა ბრიგადის მოლოდინში (?!) მიზეზი დაგვიანებისა, ნათელი გახდა მეორე ნახევრის პირველივე წუთებიდან. ვაი-არბიტრმა გ. მიქაუტაძემ, (რომელიც ადგილობრივ გულშემატკივართა ნაწილის გავლენის ქვეშ იყო) „ჩაკეტა" სტუმრები თავის ნახევარზე და არბიტრები ფაქტობრივად გახდნენ თამაშის მთავარი მოქმედი პირები. საბოლოოდ მათ მიაღწიეს თავისას. მასპინძლებმა „მოიგეს" 4:1; მაგრამ ვის მიანიჭა კმაყოფილება ასეთმა გამარჯვებამ მასპინძლებს, არბიტრებს, მაყურებლებს? ვის?

რ. ბაბისონია.

რედაქტორი ბ. ზანტურია.


## თბილისის ჰუმანიტარულ - ეკონომიკური ინსტიტუტის ზუგდიდის მოსამზადებელი ფაკულტეტი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის. ფაკულტეტზე შესასვლელად საბუთები მიიღება საშუალო სკოლადამთავრებულთაგან და საშუალო სკოლის მე-11 კლასელთაგან.

ფაკულტეტზე გასაუბრებით ჩაირიცხება 50 სკოლადამთავრებული მოსწავლე (40 ეკონომიკურ სპეციალობებზე, 10 ისტორიის სპეციალობაზე) და მე-10—მე-11 კლასის მოსწავლე (ეკონომიკური სპეციალობები).

ფაკულტეტის მე-11 კლასელებისაგან შედგენილი ჯგუფის კურსდამთავრებულები ინსტიტუტში ჩააბარებენ საერთო კონკურსის საფუძველზე, ხოლო დანარჩენი ჯგუფების კურსდამთავრებულები — უკონკურსოდ ჩაირიცხებიან ინსტიტუტის შესაბამის სპეციალობაზე.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. მოსამზადებელ ფაკულტეტზე სწავლის ღირებულება 2500 მანეთია, ხოლო ინსტიტუტში 4500 მანეთი ყოველწლიურად.

ფაკულტეტზე შესვლის მსურველებმა განცხადება უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: პასპორტი, (მიწერის მოწმობა), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ვისაც აქვს); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; სამედიცინო ცნობა (ფორმა №086); ოთხი ფოტოსურათი (3X4).

ფაკულტეტში საბუთები მიიღება 1991 წლის 17 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე, 10 საათიდან 15 საათამდე, სამუშაო დღეებში.

გასაუბრება ჩატარდება 19 ოქტომბერს 10 საათზე.

ფაკულტეტის მისამართია: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა №2, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობის 1-ლი სართული, ოთახი №8.

დეკანატი.

## მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის დაფნის კომბინატი ამა წლის 1 ოქტომბრიდან აწარმოებს მოსახლეობიდან ხმელი დაფნის ფოთლის შესყიდვას ერთი კილოგრამი 9 მანეთად. ჩაბარება სწარმოებს ყოველდღე გამოსასვლელი დღეების გარდა, როგორც კომბინატის დამზადების პუნქტში (დგებუაძის ქ. №23), ასევე სოფლებში.

ზუგდიდის დაფნის კომბინატის დირექცია.

## გამოიწერეთ „ოდიში"

არ დაგავიწყდეთ მომავალი წლიდან ადგილობრივი გაზეთ „ოდიშის" გამოწერა.

ერთი წლით გაზეთის ხელმოწერის ღირებულება 15 მანეთი და 60 კაპიკი. ნახევარი წლით 7 მანეთი და 80 კაპიკი.

იჩქარეთ, დროულად გააფორმეთ ხელმოწერა გაზეთ „ოდიშზე".

გაზეთ „ოდიშის" რედაქცია

## მცხეთის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგი სპეციალობით; დღის და საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილება:

1. სამრეწველო წარმოების მენეჯერი;

2. სასურსათო და სამრეწველო საქონლის მარკეტინგი;

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მენეჯერი;

4. ისტორია;

5. უცხო ენა (ინგლისური).

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად.

ინსტიტუტში აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება საკონკურსო წესით; სწავლება იწარმოებს ქართულ ენაზე.

დღის და საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. სამრეწველო წარმოების მენეჯერი, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მარკეტინგი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მენეჯერის სპეციალობებზე: 1. მათემატიკა (ზეპირი), 2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

2. ისტორია—საქართველოს ისტორია (ზეპირი).

2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

3. უცხო ენა—1. უცხო ენა (ზეპირი). 2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

გამოცდების დროს აბიტურიენტთა შეფასება მოხდება 10 ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით.

1. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დემობილიზებულნი;

2. პირველ საგამოცდო საგანში უფრო მაღალი შეფასების მქონე აბიტურიენტები.

3. უფრო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის მქონე აბიტურიენტები;

4. ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის განათლების დოკუმენტში უფრო მაღალი ჯამური ქულა აქვთ იმ საგნებში, რომლებიც ბარდება უმაღლესი სასწავლებლის მოცემულ სპეციალობაზე.

უმაღლესი განათლების მქონე პირები გასაუბრების შედეგად ჩაირიცხებიან მესამე კურსზე.

სტუდენტები სწავლების მთელ პერიოდში სპეციალური საგნების გარდა ღრმად შეისწავლიან 1 ან 2 უცხო ენას, ინფორმატიკას. ლექციების წასაკითხად მოწვეული იქნებიან როგორც ჩვენი, ასევე საზღვარგარეთელი სპეციალისტებიც.

წარჩინებული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სტუდენტის სწავლის საფასური წელიწადში, როგორც დღის ისე საღამოს განყოფილებაზე 5500 მან.

სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლესი სასწავლებლის რექტორსა და სწავლის ქირის გადამხდელს შორის ფორმდება ხელშეკრულება ურთიერთვალდებულებათა შესახებ.

დღის სწავლების წარჩინებული სტუდენტები სწავლის პროცესში მიიღებენ სტიპენდიას.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად ... წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი.

2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

3. სამედიცინო ცნობა (ფორმა №86).

4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

5. 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4).

6. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

ინსტიტუტში სწავლება 4 წლიანია.

უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულნი ვალდებულნი არიან სწავლის წლიური საფასური გადაიხადონ ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 15 ოქტომბრიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მასივი ა მიკრორაიონი., ი. ვეკუას ქ. №6. (ახმეტელის თეატრის გვერდით, სპეციალიზებული სპორტული სკოლა) ტელ: 62—62—46, ან 62—70—14.

---

## განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ზუგდიდის მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი

1991-92 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: ინგლისური ენის შემსწავლელ წრეში—მეცადინეობა აღჭურვილი იქნება ვიდეო და აუდიო აპარატურით—მიიღებიან როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე სკოლამდელი და სკოლადამთავრებული ახალგაზრდები. მოწვეული იქნებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. წრე იქნება 3 თვიანი, 6 თვიანი და 10 თვიანი.

საქართველოს ისტორიის შემსწავლელი, ლიტერატურის, დრამატული, მხატვრული კითხვის, მდივან-მემანქანის, ფოტო-მოყვარულთა, ჭრა-კერვის, ქსოვა-ქარგვის (ერთწლიანი) წრეები.

გიტარის, სამეჯლისო (სპორტული) ცეკვებისა და ხალხურ საკრავთა სტუდიები (სამწლიანი) წრეები.

მიღება იწარმოებს ავტო-წრეში, რომელიც გამოუშვებს „ც“ და „ბ“ კატეგორიის კვალიფიციურ მძღოლებს; სწავლება 5 თვიანია.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ცნობები: საცხოვრებელი ადგილიდან, მშობლების საქმიანობის შესახებ, დაბადების მოწმობის ასლი, ფოტოსურათები ზომით 3X4 (2 ც). განცხადებების მიღება იწარმოებს 20 ოქტომბრამდე. 25-26 ოქტომბერი დილის 10 საათიდან გასაუბრების დღეა.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №89, ტელეფონი 2—17—19, 2—18—97.

ბავშვთა და მოზარდთა კლუბის დირექცია.

---

ქვემო კახათის საბავშვო ბაღის გამგეს თალიკო ყალიჩავას, უფროსი ჯგუფის ხელმძღვანელს ლილი სხულუხიას, პედაგოგებს: ეთერ ჩახაიას, ნანი კუპრავას, მანანა სიჭინავას, ეთერ შენგელიას, მთელ პერსონალს მადლობას ვუხდით ბავშვთა აღზრდის საქმეში გაწეული ამაგისათვის.

ვუსურვებთ სიმხნევეს, სიკეთეს, ულევ სიხარულს.

უფროსი ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლები.

---

### მოსახლეობის საყურადღებოდ!

ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის სტამბა კერძო პირებისაგან იღებს, როგორც საქორწინო, ისე სამგლოვიარო დასაუწყებელ ბარათებს სტამბური წესით დასაბეჭდად ხელსაყრელ ფასებში. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ სტამბის ადმინისტრაციას. შეკვეთები მიიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა

---

შვილები: აბელი. ნანული. ნუნუ. რძალი ეთერ სახურია. სიძეები ვალერი სართანია. ჯანიკო ქითანავა. შვილიშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნათელა ისიდორეს ასულ გვასალია-ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 ოქტომბერს. დაკრძალვა 5 ოქტომბერს სოფელ ოდიშში.

---

შვილები: შურა. ოლია, გოგოლა. მილია. ციალა. დემური. და იენა მინჯორაია რძლები: ეთერი. ნამიზა. ანტანინა. თეთრიკო. გოგონა. სვეტა. სიძეები: მიშა შონია. ანესტი ბუავა. ალიოშა გაბისონია. კაკო ხუფენია. სერგო ესებუა. კარლო ხუფენია. შვილიშვილები: აზა. ანატოლი. მურმანი ბუავები, ნოდარი. ლიანა ხარჩილავები. დალი. ნონა. ლალი. რაჟი. დემნა. ემირი დარასელიები. სოსო. მაგული გაბისონიები, მანანა, მარინა. მაია ხუფენიები. დოდო. როსტევანი. ნესტანი ესებუები. მაზლიშვილები: ნათელა. გალაქტიონი. კლიმენტი. ფრანცი. იგორი დარასელიები და ახლო ნათესავები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა

**ჩათა ბადუს ასული ჯგუშია-დარასელია.**

პანაშვიდი 1, 2 ოქტომბერს. დაკრძალვა 3 ოქტომბერს სოფ. კახათში. გამოსვენება სანაპიროს 36.

---

მეუღლე მედიკო, შვილები: მზია: იზოლდა. ირაკლი. და ნატაშა. რძალი ლუარა ბუსქანძე. სიძეები: შოთა მოლაშხია. მიშიკო შონია. შვილიშვილები: პაატა. კახა. კობა მოლაშხიები. ლელა. ლია შონიები. ხათუნა. თეა. ირაკლი გვასალიები. დისშვილები: ნათელა. მაყვალა. გულისა. ლუარა. ნაზი. შოთა ცანავები. ირა კინწურაშვილი. ძმისშვილები: როინი. თამილა. თამაზი. დეიდაშვილები. მამიდაშვილები. ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**აკაკი (კაკო) კონსტანტინეს ძე გვასალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3. 4. 5 ოქტომბერს. დაკრძალვა 6 ოქტომბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. შალვა ქირიას ქ. 98 5 საათზე. დაკრძალვა ქაფათის სასაფლაოზე.

---

ზუგდიდის „ოდიშის“ ვეტერანი ფეხბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ როლანდ მაქაცარიას მამის

**შალიკო ილიას ძე მაქაცარიას**

გარდაცვალების გამო.

---

ზუგდიდის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს აპარატის თანამშრომლები იუწყებიან

**შალვა მაქაცარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ყულ-...ის ქარხნის მუშამოსამსახურეები იუწყებიან

**თორნიკე კიზირიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ძმები რადიონი. ვალერი. ბიძაშვილი ნოდარი რაფავები. რძლები: გიული ჩიქოვანი. დიანა გოგიჩაიშვილი. ნათელა სიჭინავა. ბიცოლა მერი რაფავა. მამიდაშვილი შურა ანთელავა ოჯახებით იუწყებიან

**ანტიფა ბაგრატის ძე რაფავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 ოქტომბერს თბილისი. რუსთაველის გამზირი 1, მე-4 შესასვლელი, ბინა 59.

---

შვილები: ლამზირა. ინეზა. ლუდმილა. დემური. ძმა კოლია გვიჩია ოჯახებით იუწყებიან

**შურა ნიკოლოზის ასულ გვიჩია-სალიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 ოქტომბერს სოფელ დარჩელში.

---

მიმოზა და ... გურამ სხულუხიები შვილებით ილისო. ... მანანა. ლადო. სიძე ნუგზარ მოიბაძე ოჯახებით იუწყებიან სიძის

**რუშა დურუს ძე ქავთარაძის**

გარდაცვალებას.

---

ნუგეშა და როზინ ... შვილებით ლაშა და ლევანით იუწყებიან ... სიძის

**რუშა დურუს ძე ქავთარაძის**

გარდაცვალებას.

---

ტატაში გოგოლავა შვილებით: ნონა. ტარიელი. ბადრი. რძალი ლამზირა ტუფურია. სიძე ალიოშა ხვიჩია ოჯახებით იუწყებიან სიძის

**რუშა დურუს ძე ქავთარაძის**

გარდაცვალებას.

---

ქალაქ ზუგდიდის მმაჩის განყოფილება იუწყება

**დიდიშა (გუგუ) დესლანის ასულ ჩიქოვანი - თოდუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

„ცეკავშირის“ ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**ინდიკო აქვსენტის ძე გობეჩიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ნათელა ზარქუა. შვილები: ფრიდონი. ელგუჯა, შვილიშვილები: სოფიკო. ვლადიმერი. დები: ნიურა. ციური. ძმები: ბონდო. ლუდა. მიშიკო. სიძე შოთა ჭედია. რძლები თალიკო. გულნარა. ირა. ნონა. ნანა. ძმისშვილები: სოსო, ბადრი. დისშვილები: ციცინო. დალი. ჯიმშერი. დეიდა კატუშა. ბიძია ვალოდია ლაგვილავა, ცოლისდები ვერა. ქსენია, ციცი. ლინა. ბიძაშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა

**არჩილ ვლადიმერის ძე სამუშია.**

პანაშვიდი 2, 3, 4 ოქტომბერს. დაკრძალვა 5 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ვახტანგ გორგასალის ქ. 4.

---

შვილები: ჟორჟი. ემილიანე. რძლები: შათუ, ეთერი. ნელი. ბელა. დარეჯანი. შვილიშვილები: ზურიკო. ნელი. კლიმენტი, მოკოდი. შვილთაშვილები: დათო. ანდრო, ანდრია. თამარი. მაზლიშვილები: ვალერიანე. სოკრატი ლაზარიები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ოლია სვიმონის ასულ პაპავა-ლაზარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3. 4 ოქტომბერს! გამოსვენება 5 ოქტომბერს 16 საათზე. დავით აღმაშენებლის ქ.53. დაკრძალვა სოფ. ნაფიჩხოვოში (ჩხოროწყუს რაიონი).

---

ზუგდიდის რაიონის სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციალა მებონიას დის

**აგრაფინა კადირბის ასულ მებონია-ზარქუას**

გარდაცვალების გამო.

---

კაკონა და გურამ მოლაშხიები შვილებით: ზვიადი და პაატა იუწყებიან სიძის

**რუშა დურუს ძე ქავთარაძის**

გარდაცვალებას.

---

დედა ნუნუ. მამა ჟორა. დები: ნენე. შორენა. ნანა. მანონი. ბებიები: ნადია. ბაბილინა. ბიცოლა ვალია ჯოჯუა. მამიდები. ნათელა. ნუცა. დეიდები: ფანტა. თათუშა, ვარდიშა. ბიძები დემიანე ლატარია. ჯემალ მაჭავარიანი. ბიბი აბშილავა. გურამ გუგუშვილი. სიძეები დემურ ვეკუა. გოგი ღვინიანიძე. ვაჟა ჭითანავა. ზურაბ ჭითაშვილი, გულადი ჭანტურია. მურთაზ ყიფშიძე. ჯანიკო გვასალია. რევაზ ფიფია. მამიდაშვილები: ტანია. იურა კობახიძეები. მთვარისა. ირა. იზა. თელიქსი ლატარიები, დეიდაშვილები: თემური. ქეთო. ლუიზა აბშილავები. გია. ზურაბი. გულადი, ედიკა გაბელაიები. თამარი. მინდია. მერლუდი გუგუშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლადო (ხვიჩა) ჟორას ძე ბარქაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 ოქტომბერს. დაკრძალვა 5 ოქტომბერს სოფელ ურთაში.

---

შვილები ცეზარი გობეჩია. მერი ზუხბაია. ძმა ილია. რძლები: ნაირა ბურსულაია, ნინა ... ლია. ლუბა ნასარაია, ლუბა შეროზია. ასმათ იმნაძე. ნინო კომახიძე. შვილიშვილები ეკა. მამუკა გობეჩიები. შვილთაშვილი ნიკოლოზი. სიძეები ვაჟა ცაავა. კობა აბრალავა. ძმისშვილები: კუკური. ნოდარი, ბონდო. ვახტანგი. თენგიზი გობეჩიები, ბიძაშვილები: ვარლამი. ელიკო გობეჩიები. მამიდაშვილები: დავითი. ლილი. ხუტა პაპასკირები არჩიპო, ბორისი ზუხბაიები. როინი. ლამარა. ნოდარი. ციალა. როზა. მერაბი ბუსქანძეები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**აკაკი გაძუს ძე გობეჩიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 ოქტომბერს. დაკრძალვა 5 ოქტომბერს. გამოსვენება 4 საათზე ლაზის (კომკავშირის) 19.

---

ინდექსი ... რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ ... ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69 ... მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების ... მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2-47 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ... კოსტავას ქ. №68, 2 33 07, ტირაჟი 8000 შეკ. №4418